



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს,
პროფესიული განვითარების საბჭოს თავმჯდომარეს,
ბატონ დავით სერგეენკოს
სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო

რეგულირების სააგენტოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებლის,
თეიმურაზ პირველაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა მოქალაქე მაია სანიკიძის განცხადებაში (№ 116848, 15.11.2016წ) მოყვანილი ფაქტები. კერძოდ, შპს „უნიმედი კახეთი“-ში (ბავშვთა ახალი კლინიკა) (მის.: თბილისი, ლუბლიანას ქ. №21) პაციენტი ნიკოლოზ ბერიაშვილისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ჩატარებული ოპერაციული მკურნალობის (აპენდექტომია) შემდეგ პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა და დაუდგინდა პნევმონია.

შესწავლით დადგინდა:

პაციენტი ნიკოლოზ ბერიაშვილი (4 წლის) 26.10.16წ.12:25სთ-ზე, ს.ს.დ. ბრიგადის მიერ მიყვანილ იქნა შპს „უნიმედი კახეთი“ ბავშვთა ახალ კლინიკაში დიაგნოზით: „მუცლის და მენჯის ტკივილი R10, სხვა და უცნობი წარმოშობის ცხელება R50“.

ER-ის განყოფილებაში პაციენტი გასინჯულ იქნა პედიატრ მაია კერვალიშვილის და ბავშვთა ქირურგ გია ბენაშვილის მიერ, დაისვა დიაგნოზი: „მწვავე აპენდიციტი, გენერალიზებული პერიტონიტით K35.2“.

26.10.16წ. (დაწყება 19:50სთ. დასრულება 20:50სთ.), ზოგადი ბალანსირებული ანესთეზიით, ექიმ გ. ბენაშვილის მიერ, პაციენტს გაუკეთდა ოპერაცია: „აპენდექტომია“. პათოპისტოლოგიური დიაგნოზი: „მწვავე ფლევმონური აპენდიციტი“. ოპერაციიდან დაახლოებით 5 საათის შემდეგ პაციენტს გამოეხატა სუნთქვის უკმარისობის ნიშნები, ქოშინი. ჩატარდა ფილტვის რენტგენოგრაფიული და გულმკერდის ულტრასონოგრაფიული კვლევები, რომელთა მიხედვით, მარცხენა პლევრის ღრუში ისახებოდა თავისუფალი სითხე შუა აქსილარულ ხაზზე მე-8 ნეკნის დონეზე, სეპარაცია 16 მმ. პაციენტი გადაყვანილ იქნა კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში, მისი მდგომარეობა იყო მძიმე, განპირობებული სუნთქვის მწვავე უკმარისობით. გამოხატული იყო მეტაბოლური აციდოზი. 27.10.16წ. და 04.11.16წ. თორაკოქირურგ ივანე წულუისკირის მიერ, პაციენტს ჩატარდა პლევრის ღრუს დრენირება. 04.11.16წ. ჩატარებული CT კვლევით, პაციენტს დაუდგინდა მარცხენამხრივი ქვედა წილოვანი პნევმონია და პლევრის ემპიემა. 07.11.16წ. (დაწყება 14:00სთ. დასრულება 15:15სთ.), თორაკოქირურგ ივანე წულუისკირის მიერ, პაციენტს გაუკეთდა ოპერაცია: „მარცხენამხრივი ენდოსკოპიური პლევროდეზისი და დეკორტიკაცია“. ინტრაოპერაციული დიაგნოზი: „პიოთორაქსი ფისტულის გარეშე J86.9“. 11.11.16წ. პაციენტი გადაყვანილ იქნა ქირურგიულ დეპარტამენტში. 14.11.16წ. პაციენტს აღენიშნა ტკივილი მარჯვენა ქვედა კიდურის მიდამოში, სიარულის დროს მარჯვენა ტერფს დგამდა გარეთ, გამოხატული იყო ძალის დაქვეითება მარჯვენა ტერფში, აღნიშნული ძალისა და მოძრაობის სიფართის შეზღუდვა. ჩატარებული კომპიუტერული ელექტრომიოგრაფიით და ხერხემლის სვეტისა და ზურგის ტვინის მრ. კვლევით, ბავშვთა ნევროლოგ ლია ლეკიაშვილის ჩანაწერით (18.11.16წ.): „...საქმე გვაქვს მარჯვენა ქვედა მონონეროპათიასთან (საჯდომი ნერვი) G57.0“. 24.11.16წ. ექიმ გ.ბენაშვილის ჩანაწერით: „პაციენტი გასინჯულ იქნა შემოვლაზე განყოფილების გამგესთან, პ. დოლიძესთან, ერთად... ტკივილის ეპიზოდი მარჯვენა ქვედა კიდურში არ ჰქონია. გაიარა, მარჯვენა ფეხს დგამს კარგად, თუმცა არამყარად. კლინიკო-ლაბორატორიული კვლევებით - N... ეწერება სახლში. მუცელი რბილი, უმტკივნეულო. სასუნთქი სისტემის მხრივ - დამაკმაყოფილებელი, სტაბილური. დაბარებულია ნევროლოგთან ორ კვირაში“.

დასკვნითი კლინიკური დიაგნოზი: „მწვავე აპენდიციტი სხვა და დაუზუსტებელი K35.8. სუნთქვის მწვავე უკმარისობა J96.0. პნევმონია დაუზუსტებელი J18.9. პლევრიტი R09.1. პიოთორაქსი ფისტულის გარეშე J86.9“.

პაციენტი ნიკოლოზ ბერიაშვილის სამედიცინო დოკუმენტაცია რეცენზირებულ იქნა ააიპ საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების ექიმ-სპეციალისტთა მიერ (პედიატრიული, ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგიური, ნევროლოგიური და ბავშვთა ქირურგიული მიმართულებებით).

შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

1. „...ავადმყოფობის ხანგრძლივობა (ბინაზე დაჰყო 4 დღე), ჰექტიური ტემპერატურით მიმდინარეობა, შემოსვლისას გამოხატული ქოშინი (R-44’), საფუძველს იძლეოდა იმის, რომ ავადმყოფს მიმღებ-გადაუდებელ განყოფილებაში დამატებით ჩატარებოდა გულმკერდის რენტგენოლოგიური კვლევა“ (რეცენზ.) (ექ. მ. კერვალიშვილი);
2. ოპერაციის პროტოკოლში (№787) არ არის აღწერილი ამოკვეთილი მასალა და არ არის მითითებული პრეპარატის გაგზავნის ადგილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. დაისვას საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე, საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ 74-ე მუხლის შესაბამისად, შპს „უნიმედი კახეთი“ ბავშვთა ახალი კლინიკის ექიმ მაია კერვალიშვილის (სერტ. „პედიატრია“) პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე;
2. შესწავლის შედეგები ეცნობოს შპს „უნიმედი კახეთი“ ბავშვთა ახალი კლინიკის ადმინისტრაციას და განმცხადებელს.

წარმოგიდგენთ შესწავლის შედეგებს ინფორმაციის სახით და რეცენზენტთა დასკვნას.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი 19 ფურცელი.

პატივისცემით,

სააგენტოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი



თეიმურაზ პირველაშვილი